



მწვანე ალტერნატივას შენიშვნები და კომენტარები
ქ. თბილისში შპს „ჯეუ გრუპის“ უკანონოდ აშენებული ასფალტის
საწარმოს ექსპლუატაციის სკოპინგის განცხადებაზე

12 მაისი, 2022

გარემოსდაცვითი და სოციალური
სამართლიანობისთვის
საქართველოში

წარმოგიდგენთ მწვანე ალტერნატივას შენიშვნებს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებ-გვერდზე საჯარო განხილვისათვის [გამოქვეყნებულ](#) - ქ. თბილისში, შპს „ჯეუ გრუპის“ ასფალტის საწარმოს ექსპლუატაციის პროექტის სკოპინგის განცხადებაზე.

2022 წლის 11 მაისს ჩატარდა ასფალტის საწარმოს ექსპლუატაციის პროექტის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა, რომელსაც ჩვენი ორგანიზაციის წარმომადგენელიც ესწრებოდა. საჯარო განხილვამდე ერთ კვირით ადრე ვიმყოფებოდით საპროექტო ტერიტორიაზე და როგორც ადგილზე გასვლის შედეგად გავარკვიეთ:

1. სამინისტროს არ გაუვრცელებია განცხადება საჯარო განხილვის ჩატარების შესახებ; და
2. შპს „ჯეუ გრუპს“ უკვე დამთავრებული აქვს ასფალტის საწარმოს მშენებლობა.

რაც ყველაზე საგანგაშოა, უკანონო მშენებლობის შესახებ ინფორმაციას სამინისტროსათვის ჯერ კიდევ 2022 წლის თებერვალში გახდა ცნობილი. კომპანიამ 2022 წლის 13 იანვარს წარადგინა სკოპინგის განცხადება. სამინისტრომ ტერიტორიის დათვალიერებისას დაადგინა, რომ შპს „ჯეუ გრუპის“ მიერ უკვე დასრულებული იყო სამშენებლო სამუშაოები, ასევე მოწყობილი იყო პროექტით გათვალისწინებული სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურა. როგორც სამინისტროს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული 2022 წლის 4 თებერვლის [N1020/01](#) წერილიდან ირკვევა, სამინისტრომ ნაცვლად იმისა, რომ უარი ეთქვა სკოპინგის დასკვნის გაცემაზე, მიიღო გადაწყვეტილება ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის თაობაზე.

სამინისტრომ კომპანიას მოსთხოვა პროექტის სკოპინგის ანგარიშის წარდგენა ადგილზე არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, სადაც შეფასებული და გაანალიზებული იქნებოდა საწარმოს ტერიტორიაზე ამჟამად არსებული მდგომარეობა და ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი შესაძლო ზემოქმედების სახეები.

შედეგად, 2022 წლის 18 აპრილს შპს „ჯეუ გრუპის“ დირექტორმა კვალავ წარადგინა სამინისტროში სკოპინგის ანგარიში და მოითხოვა წარდგენილი დოკუმენტის განხილვა - ზუსტად ისე, როგორც მას სამინისტრო სთხოვდა.

როგორც მოგეხსენებათ, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი არ ითვალისწინებს უკანონოდ დაწყებულ (თუნდაც დროებით შეწყვეტილ, მაგრამ მიმდინარე მშენებლობის) საქმიანობაზე გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას. შესაბამისად, სამინისტროს არც უნდა დაეწყო ადმინისტრაციული წარმოება წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე,

თბილისი, 0179, საქართველო
ფალიაშვილის ქ. 39b, IV სართ.
ტელეფონი: (995 32) 222 38 74
ელ. ფოსტა: greenalt@greenalt.org
ვებ-გვერდი: www.greenalt.org

ვინაიდან საქმიანობა არ ხვდება გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის რეგულირების ფარგლებში. რაღა თქმა უნდა, წარმოდგენილ სკოპინგის ანგარიშზე შეუძლებელია გაიცეს დადებითი დასკვნა.

სამწუხაროდ, ეს არ არის უკანონოდ დაწყებულ საქმიანობაზე კანონის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ წარმართული ერთადერთი პროცესი და სამინისტროს ამგვარმა დამოკიდებულებამ უკვე დაუდო საფუძველი დანაშაულებრივ პრაქტიკას, როდესაც მეწარმეები ამჯობინებენ კანონის დარღვევით საქმიანობის დაწყებას შემდგომში გადაწყვეტილების გარანტირებულად მოპოვების იმედით.